

შენგენის ზონა

ხშირად დასმული კითხვები

წინამდებარე ხშირად დასმული კითხვები ძალზე ზოგადია. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტულ შემთხვევებს ან გარემოებებს, შესაბამისად მომხმარებელმა ის არ უნდა განიხილოს როგორც პირადი, პროფესიული ან სამართლებრივი რჩევა. პირადი ან კონკრეტული რჩევის მიღებაში დაინტერესებულმა მომხმარებელმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის უწყებებს უნდა მიმართოს.

1 რომელი ქვეყნები შედის შენგენის ზონაში?

2 რა არის შენგენის ვიზა?

3 შენგენის ქვეყანაში შესასვლელად ვიზა მჭირდება?

4 სად უნდა შევიტანო სავიზო განაცხადი?

5 რა ხანგრძლივობისაა შენგენის ვიზა?

6 რა დრო სჭირდება სავიზო პროცედურებს?

7 დაგეგმილ ვიზიტამდე რა ხნით ადრე უნდა შევიტანო სავიზო განაცხადი?

8 რა ღირს ვიზაზე განაცხადის შეტანა?

9 ჩემი პასპორტს ორ თვეში გასდის ვადა. შემიძლია სავიზო განაცხადის შეტანა?

10 რა დოკუმენტები მჭირდება სავიზო განაცხადის შეტანისას?

11 თუკი ჩემი ვიზა გერმანიის საკონსულომ გასცა, შემიძლია ამ ვიზის გამოყენება შენგენის სხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ?

12 შემიძლია დავტოვო შენგენის ზონა და ისევ დავბრუნდე, თუკი შენგენის ვიზა მაქვს?

13 მაქვს შენგენის ზონის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნის გრძელვადიანი ვადიანი ვიზა/ბინადრობის უფლება. დამჭირდება კიდევ ერთი ვიზა შენგენის ქვეყნებში სამოგზაუროდ?

14 შენგენის გარე საზღვარზე შენგენის ვიზიანი სამგზავრო დოკუმენტის გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი უნდა წარმოვადგინო?

15 მეორე ერთმანეთთან დაკავშირებული რეისით მივფრინავ, შენგენის ქვეყნის აეროპორტის გავლით. აეროპორტის სატრანზიტო ვიზაზე უნდა შევიტანო განაცხადი თუ მოკლევადიან ვიზაზე?

16 შეიძლება ჩემი ვიზის ვადა გაგრძელდეს?

17 მე ვიზაზე უარი მითხრეს. როგორ მოვიქცე?

1 რა ქვეყნები შედის შენგენის სივრცეში?

შენგენის სივრცე მოიცავს 26 ქვეყანას („შენგენის სახელმწიფოები“). რომელთა შორის სასაზღვრო კონტროლი არ ხორციელდება. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესტონეთი, ესპანეთი, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვედეთი და შვეიცარია.

2 რა არის შენგენის ვიზა?

ვიზას სტიკერის ფორმა აქვს და ის სამგზავრო დოკუმენტში იკვრება. შენგენის ვიზა არის ნებართვა, რომელსაც გასცემს შენგენის სახელმწიფო:

- მის ტერიტორიაზე ან შენგენის სახელმწიფოების ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის ან 180 დღიდან არაუმეტეს 90 დღით ყოფნისთვის („მოკლევადიანი ვიზა“),

- შენგენის სახელმწიფოებში მდებარე აეროპორტების საერთაშორისო სატრანზიტო ზონების ტრანზიტისთვის („აეროპორტის სატრანზიტო ვიზა.“)

ზოგადად, მიღებული ვიზა უფლებას გაძლევთ ერთი მოგზაურობის განმავლობაში იმოგზაუროთ შენგენის ნებისმიერ სახელმწიფოში, ვიზის ხანგრძლივობის ამოწურვამდე.

იმ შემთხვევაში, თუ შენგენის ქვეყანაში 90–დღეზე მეტი ხნით დარჩენა, მუშაობის დაწყება ან ბიზნესის წამოწყება, ვაჭრობა ან პროფესიით დასაქმება გსურთ, თქვენ შენგენის ვიზა არ შეგეხებათ.

3 შენგენის ქვეყანაში შესასვლელად ვიზა მჭირდება?

იმის სანახავად, გჭირდებათ თუ არა ვიზა შენგენის სახელმწიფოში შესასვლელად, იხილეთ ჩვენი [ვებგვერდი](#).

1. აირჩიეთ თქვენი ნაციონალობა და ნახავთ, გჭირდებათ თუ არა ვიზა.

2. თუკი ვიზა გჭირდებათ, უნდა შეარჩიოთ თქვენი ბინადრობის ქვეყანა და შენგენის ის სახელმწიფო, რომელშიც მიემგზავრებით.

3. აღნიშნული იქნება საკონსულო, რომელსაც უნდა მიმართოთ და აღნიშნული იქნება ასევე ბმული იმ ვებგვერდისა, სადაც დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული.

გაითვალისწინეთ, რომ ეს ინფორმაცია არასრულია და მხოლოდ გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს.

4 სად უნდა შევიტანო სავიზო განაცხადი?

შენგენის სავიზო განაცხადი იმ ქვეყნის საკონსულოში უნდა შეიტანოთ, სადაც გამგზავრებას აპირებთ ან თუკი შენგენის ერთ სახელმწიფოზე მეტ ქვეყანაში ჩასვლას აპირებთ, იმ ქვეყნის საკონსულოში, სადაც დროის ყველაზე დიდ მონაკვეთს გაატარებთ.

თუკი შენგენის რამდენიმე სახელმწიფოში ჩასვლას გაგმავთ და ეს ვიზიტების ყველა თანაბარი ხანგრძლივობისა იქნება, იმ ქვეყნის საკონსულოს უნდა მიმართოთ, რომლის გარე საზღვარს შენგენის სივრცეში შესვლისას პირველს გადაკვეთთ.

ზოგადი წესის მიხედვით სავიზო განაცხადი უნდა შეიტანოთ იმ საკონსულოში, რომელსაც მინიჭებული აქვს ტერიტორიული კომპეტენცია იმ ქვეყნისთვის, სადაც თქვენ ლეგალურად ცხოვრობთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდის ბმულს [სად და როგორ შევიტანოთ სავიზო განაცხადი](#).

5 რა ხანგრძლივობისაა შენგენის ვიზა?

შენგენის ვიზა მოკლევადიანი ვიზაა. „მოკლევადიანი“ ნიშნავს „180 დღიდან ნებისმიერი 90 დღის“ ვადას, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში დარჩენის მაქსიმალური ხანგრძლივობა არის 90 დღე 180 დღიდან.

მაქსიმალური ვადა, რომელიც პასპორტში ჩაკრულ ვიზაზეა აღნიშნული მოცემულია გრაფაში „ვიზიტის ხანგრძლივობა“ (“Duration of visit”).

ერთჯერადი ვიზით შენგენის ზონაში შესვლის უფლება გენიჭებათ მხოლოდ ერთხელ, რაც ვიზაში აღნიშნულია ციფრით „1“. მრავალჯერადი ვიზა უფლებას აძლევს მის მფლობელს ქვეყანაში რამდენჯერმე შევიდეს ვიზის ვადის გასვლამდე. მრავალჯერადი ვიზის აღმნიშვნელია სიტყვა "MULT".

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ წავიკითხოთ ვიზაზე დატანილი ინფორმაცია იხილეთ ჩვენ ვებგვერზე: [როგორ წავიკითხოთ ვიზაზე დატანილი ინფორმაცია.](#)

6 რა დრო სჭირდება სავიზო პროცედურებს?

როგორც წესი, მას შემდეგ, რაც შენგენის ვიზის შესახებ განაცხადი საკონსულოში იქნება შეტანილი, საკონსულოს აქვს 15 კალენდარული დღე გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ვადა 30 ან 60 დღემდე შეიძლება გაგრძელდეს. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ვებგვერდზე: [სავიზო განაცხადის დამუშავება.](#)

7 დაგეგმილ ვიზიტამდე რა ხნით ადრე უნდა შევიტანო სავიზო განაცხადი?

სავიზო განაცხადის შეტანა შეიძლება დაგეგმილ ვიზიტამდე არაუმეტეს სამი თვით ადრე.

სასურველია, რომ განაცხადი შეტანილ იქნეს დაგეგმილ ვიზიტამდე სულ მცირე 15 კალენდარული დღით ადრე.

ასევე, რეკომენდებულია სავიზო განაცხადის შეტანა როგორც განმცხადებლის ქვეყანაში არსებული დასვენების დღეების გათვალისწინებით, ისე იმ ქვეყნის დასვენების დღეების გათვალისწინებით, რომელშიც ის მიემგზავრება.

მათ, ვისაც აქვთ მრავალჯერადი ვიზები (რომელიც ძალაშია სულ მცირე 6 თვის განმავლობაში) შეუძლიათ ახალ ვიზაზე განაცხადის შეტანა არსებული ვიზის ვადის გასვლამდე.

8 რა ღირს ვიზაზე განაცხადის შეტანა?

ვიზის ღირებულება არის 60 ევრო და ის გადახდილი უნდა იყოს სავიზო განაცხადის შეტანისას. ვიზის ღირებულება 6–დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შეადგენს 35 ევროს.

მოქალაქეებისთვის, ვისთანაც ევროკავშირს ხელმოწერილი აქვს ვიზების გამარტივების შეთანხმება, ვიზის ღირებულება შეადგენს 35 ევროს. ამ ქვეყანათა ჩამონათვალი იხილეთ ამ [ბმულზე](#).

ვიზის გადასახადისგან გათავისუფლებული არიან ის განმცხადებლები, რომლებიც შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნებიან:

- 6 წლამდე ბავშვები;
- სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხზე მომუშავე სტუდენტები და თანმხლები მასწავლებლები, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლისა ან ტრენინგისთვის მიემგზავრებიან;

- მესამე ქვეყნების მკვლევარები, რომლებიც საზღვარგარეთ სამეცნიერო კვლევის მიზნით მიემგზავრებიან

- 25 წლის ან 26 წლამდე ასაკის მოგებაზე არაორიენტირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოგებაზე არაორიენტირებული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სემინარებში, კონფერენციებში, სპორტულ ღონისძიებებში, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

ევროკავშირის წევრები ასევე იყენებენ მათ მიერ დაწესებულ სავიზო შეღავათებს. დეტალური დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია იმ ქვეყნი საკონსულოდან, რომელსაც ვიზის მისაღებად მიმართავთ.

თუკი განაცხადს სერვისის მიმწოდებელს ჩააბარებთ, დამატებითი მომსახურების ხარჯის გადახდა დაგეკისრებათ.

9 ჩემს პასპორტს ორ თვეში გასდის ვადა. შემძლია სავიზო განაცხადის შეტანა?

როგორც წესი არ შეგიძლიათ. მოთხოვნის მიხედვით პასპორტის ვადა უნდა იწურებოდეს თქვენი შენგენის სახელმწიფოდან ჩამოსვლიდან 3 თვის შემდეგ, თუმცა, კარგად დასაბუთებულ და გადაუდებელ შემთხვევებში საკონსულოს შეუძლია გადაუხვიოს ამ დადგენილ წესს.

10 რა დოკუმენტები მჭირდება სავიზო განაცხადის შეტანისას?

ინფორმაცია ვიზის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: [საჭირო დოკუმენტები](#).

11 თუკი ჩემი ვიზა გერმანიის საკონსულომ გასცა, შემძლია ამ ვიზის გამოყენება შენგენის სხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ?

დიახ. შენგენის შეთანხმების მიხედვით შენგენის ვიზა შენგენის ზონის ყველა ქვეყანაში მოქმედებს. მიაქციეთ ყურადღება, რომ განაცხადი ყოველთვის იმ ქვეყანის საკონსულოში უნდა შეიტანოთ, რომელშიც პირველად შედიხართ (იხ. „ხშირად დასმული კითხვების“ შეკითხვა 4). ვიზის ტერიტორიული გავრცელების არეალი აღნიშნულია ვიზაში სახელწოდებით "Schengen States". თუკი ვიზას შეზღუდული ტერიტორიული გავრცელების არეალი აქვს, მაშინ მოცემულია შემდეგი აღნიშვნა "LTV" და შენგენის იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელზეც ეს ვიზა ვრცელდება.

12 შემძლია ჩემი შენგენის ვიზით შენგენის ზონა დავტოვო და უკან დავბრუნდე?

შენგენის ვიზა არის ერთჯერადი და მრავალჯერადი. ერთჯერადი ვიზით შენგენის ზონაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. ერთჯერადად შესვლის ნიშნად ვიზაზეა დატანილია ციფრი „1“.

მრავალჯერადი ვიზით შესაძლებელია შენგენის ზონაში შესვლა მრავალჯერ, ვიზის ვადის ამოწურვამდე. მრავალჯერადი ვიზა აღინიშნება შემოკლებით "MULT".

13 მაქვს შენგენის ზონაში შემავალი ქვეყნის გრძელვადიანი მოქმედი ვიზა/ბინადრობის უფლება. დამჭირდება კიდევ ერთი ვიზა შენგენის ზონის სხვა სახელმწიფოებში სამოგზაუროდ?

არა. შენგენის ზონაში შემავალი ქვეყნის მიერ გაცემული გრძელვადიანი ვიზა ან ბინადრობის უფლება გაძლევთ უფლებას იმოგზაუროთ ან იცხოვროთ შენგენის ზონის სხვა ქვეყანაში, თუმცა უნდა დაიცვათ „მოკლევადიანი“ ვიზიტის მაქსიმალური ვადა (180 დღიანი პერიოდიდან 90 დღე).

14 შენგენის გარე საზღვარზე შენგენის ვიზიანი სამგზავრო დოკუმენტის გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი უნდა წარმოვადგინო?

მოკლევადიანი ვიზა არ გაძლევთ შენგენის ზონაში ავტომატურად შესვლის უფლებას. საზღვარზე (ან სხვა სახის კონტროლისას) შესაძლოა მოგთხოვონ როგორც ვიზის, ისე დამატებითი საბუთების წარმოდგენა, მაგალითად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაქვთ ქვეყანაში დასარჩენად და უკან დასაბრუნებლად საკმარისი თანხა. ამიტომ, სასურველია, რომ თან იქონიოთ იმ დოკუმენტების ასლები, რომელსაც ვიზაზე განაცხადის შეტანისას წარადგენთ (მაგ. მოწვევის წერილები, მგზავრობის დამადასტურებელი და სხვა დოკუმენტების, რომელიც თქვენი მგზავრობის მიზანს განმარტავს).

15 მე ორი ფრენა მიწევს და გზად შენგენის ზონის აეროპორტში უნდა გავჩერდე. რომელი ვიზა უნდა ავიღო – მოკლევადიანი თუ აეროპორტისთვის სატრანზიტო?

მნიშვნელოვანია, რომ განვასხვაოთ ორი სიტუაცია:

- აეროპორტის საერთაშორისო სატრანზიტო ზონა (ანუ სივრცე, რომელსაც არ ტოვებ მომდევნო ფრენამდე)
- ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიის ტრანზიტი, რომელიც მხოლოდ აეროპორტის ტერიტორიით შემოიფარგლება (შემდგომი მოგზაურობა, რომლის დროსაც ტოვებ აეროპორტის საერთაშორისო სატრანზიტო ზონას).

აეროპორტის სატრანზიტო ვიზა (ATV) უფლებას გაძლევთ, დატოვოთ შენგენის სახელმწიფოში მდებარე აეროპორტის საერთაშორისო სატრანზიტო ზონა და დაელოდოთ ფრენას არა-შენგენის ქვეყანაში. ATV არ გაძლევთ შენგენის ზონაში შესვლის უფლებას (ან, მაგალითად, სასტუმროში დარჩენის ან შენგენის სხვა ქვეყანაში შემდგომი ფრენის).

შენგენის ერთი სახელმწიფოდან შენგენის მეორე სახელმწიფოს აეროპორტის გავლით მგზავრობა არ ითვლება აეროპორტის ტრანზიტად; ეს არც შენგენის 2

სახელმწიფოს აეროპორტებიდან მგზავრობად ითვლება. შენგენის ერთ და მეტ ქვეყნებს შორის მგზავრობა „შიდა“ მგზავრობად ითვლება. ორ ან მეტ შენგენის სახელმწიფოს შორის ყველა ფრენა „შიდა“ ფრენადაა მიჩნეული. მოქალაქეობიდან გამომდინარე შენგენის ზონაში შესვლისას თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ მოკლევადიანი ვიზა იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი იქ დარჩენა მხოლოდ რამდენიმე საათი გასტანს.

16 შეიძლება ჩემი ვიზის გაგრძელება?

ვიზის ვადის გაგრძელებაზე განაცხადის შეტანისას უნდა აჩვენოთ, რომ დაუძლეველი ძალის (force majeure) ან ჰუმანიტარული მიზეზების გამო არ შეგიძლიათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიის დატოვება ვიზის ხანგრძლივობის ან ნებადართული პერიოდის გასვლამდე.

ვიზის ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი შენგენის ზონაში ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 90 დღეზე ნაკლები გაატარეთ და თუ თქვენს ვიზას ვადა არ გასვლია.

შენგენის ქვეყნის შინაგანი საკითხების უწყებებთან შეგიძლიათ გაარკვიოთ რომელი უწყებაა უფლებამოსილი თქვენის ვიზის გაგრძელებაზე.

17 მე უარი მითხრეს ვიზის გაცემაზე. როგორ უნდა მოვიქცე?

შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება. შენგენის ვიზის გაცემაზე უარის თქმა და უარის მიზეზები მიღებული ფორმით უნდა იყოს შეგატყობინონ. უარის შესახებ გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს უარის თქმის საფუძველი და ის პროცედურები და ვადები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს გასაჩივრება.

თუკი ვიზის გაცემაზე უარი გითხრეს, შეგიძლიათ ხელმეორედ შეიტანოთ განაცხადი. თუმცა, სასურველია, რომ ახალი განაცხადის წარდგენამდე მხედველობაში მიიღოთ ის მიზეზები, რის გამოც წინა განაცხადზე უარი გითხრეს და, თუ შესაძლებელია, აღმოფხვრათ ისინი.

სავიზო პოლიტიკა: http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy/index_en.htm